

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 101/17 მიმოხილვა

### ფაქტები

კლიენტსა და ადვოკატს შორის გაფორმებული იყო წერილობითი ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო საზღაურის ოდენობაც. ადვოკატმა სამოქალაქო საქმეზე სარჩელში არასწორად მიუთითა მოპასუხე მხარე. ადვოკატი კლიენტს არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ და არც სასამართლო სხდომის ჩანიშვნის შესახებ. ადვოკატმა ბოლო სასამართლო სხდომაზე დააგვიანა 10-15 წუთით და კლიენტმა დააყენა მისი აცილება. კლიენტის მომსახურების შეწყვეტის შემდეგ ადვოკატს მისთვის არ დაუბრუნებია გამოუმუშავებელი საზღაური.

### პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართეს კლიენტებმა და მოითხოვეს ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და გადახდილი თანხის დაბრუნება. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღმდგრის თაობაზე. აღმდგრის სამართლებრივი საფუძველი გახდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილების სავარაუდო დარღვევა.

### სამართლებრივი ანალიზი

ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებულ ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნდობის პრინციპი. ნდობის პრინციპი გულისხმობს ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულებას და შეთანხმებული წესით კლიენტის ჯეროვან ინფორმირებას.

ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის შეფასება. ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედება არასათანადო მოპასუხის შერჩევის შესახებ შეაფასა როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა. ასევე არაკეთილსინდისიერად შეფასდა კლიენტისადმი ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობა სასამართლო სხდომის არსებობის შესახებ. ადვოკატის ვალდებულებაა შეატყობინოს კლიენტს საქმის მიმდინარეობის, სხდომის ჩანიშვნის თარიღების, საქმეზე მოსალოდნელი შედეგების და სხვა საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ. კლიენტი თავად ირჩევს შეტყობინების შემდგომ ქმედების განხორციელებას, მაგ: მივიდეს თუ არა სხდომაზე. ადვოკატს არ აქვს უფლება კლიენტის ნაცვლად მიიღოს გადაწყვეტილება.

კომისია გადაწყვეტილებაში მიუთითებს აგრეთვე გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების შესახებ. იმის გამო რომ ადვოკატთან კლიენტმა შეწყვიტა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობა და ის ვეღარ იქნებოდა მისი წარმომადგენელი. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა მას უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან ის თანხა რომელიც ადვოკატმა სამართლებრივად არ გამოიმუშავა. კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია გაწყვიტოს ადვოკატთან ურთიერთობა და ამ დროს ადვოკატს წარმოეშობა ეთიკური ვალდებულება-სავარაუდო თანხა, რაც მან მიიღო გამოუმუშავებლად გამოქვითოს გადახდილი ჰონორარიდან.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION  
UNIVERSITY**

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

## დასკვნა

ადვოკატის მიერ დადგინდა ნდობის, კეთილსინდისიერების, ჯეროვანი ინფორმირების და გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულებების დარღვევა. ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.